ივლისი, 2021

პროექტი "საქართველოს მომავალი"

მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს ცვალებად საზოგადოებაში

არჩილ გეგეშიძე
მიხეილ მირზიაშვილი

წინამდებარე სტატია რიგით მეხუთეა სერიიდან, რომელიც კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი პროექტის - „საქართველოს მომავალი" ფარგლებში ქვეყნდება. პროექტი მიზნად ისახავს ქართული საზოგადოების წინაშე მდგარი საჭირბოროტო საკითხების ანალიზს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ერთ-ერთია იმ ინსტიტუტებს შორის, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობა ქვეყნის მოსახლეობა, ხოლო მისი წინამძღოლი ილია მეორე ქვეყანაში ყველაზე საპატივცემულო ადამიანია. „სიმყარე, სტაბილურობა და მიუკერძოებლობა, მე მგონი, არის ის ძირითადი მიზეზები, რაც ეკლესიის მაღალ ავტორიტეტს განაპირობებს," - განაცხადა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელმა „საქართველოს მომავლის" პროექტის ფარგლებში კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისთვის მიცემულ ანონიმურ ინტერვიუში.

მართლმადიდებელი ეკლესიის რეპუტაცია, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს განსაკუთრებული ისტორიული როლიდან, რომელიც ეკლესიამ ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და ქართული კულტურული და სულიერი იდენტობის შენარჩუნების საქმეში შეასრულა. ეკლესიის განსაკუთრებული მნიშვნელობა ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში. იგი ითვალისწინებს კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. 2002 წელს ხელმოწერილი ეს შეთანხმება ეკლესიას ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს განათლებისა და კულტურული

მემკვიდრეობის სფეროებში, ასევე, ისეთ პრივილეგიას, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები.

მეტიც, შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის საკუთრების უფლებას საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა ეკლესიასა და მონასტერზე და იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს ეკლესიას ზარალი, რომელიც მას 1811 წელს ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ მიადგა. კარნეგისა და ლევან მიქელაძის ფონდების დაკვეთით, „საქართველოს მომავლის“ პროექტის ფარგლებში კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები, ძირითადად, დადებითად აფასებენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგირებულ მდგომარეობას (იხ. სურათი 1).

სურათი 1



წყარო: კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი, 2020

საგულისხმოა, რომ საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის პოპულარობა არაა საყოველთაო; იგი ასევე ხშირად ექცევა იმ წინააღმდეგობრივი საჯარო პოლემიკის შუაგულში, რომელიც გამოწვეულია ძირითადად ტრადიციული ღირებულებების მქონე ქვეყნის იმავდროული წადილით, გაჰყვეს ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგს.

ეს წინააღმდეგობრივი განწყობები 2021 წლის ივლისში კრიზისში გადაიზარდა: თბილისი პრაიდის მოწინაღმდეგეებმა, რომელთა შორის სასულიერო პირებიც იყვნენ, იძალადეს

ორმოცდაათზე მეტ ჟურნალისტზე. მოგვიანებით პროტესტის რამდენიმე მონაწილემ ჩამოხსნა და დაწვა საქართველოს პარლამენტის წინ აღმართული ევროპული დროშა.

ეკლესიის ხელმძღვანელობამ არ მოიწონა ძალადაობა, თუმცა პირველ რიგში დაგმო პრაიდის ჩატარების მცდელობა, ხოლო სექსუალურ უმცირესობათა (LGBTQ) უფლებები „ამორალობად“ და ქართული ტრადიციის საწინააღმდეგო მოვლენად შერაცხა. ამგვარი მიდგომით ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოიმდურა ქვეყნის დასავლელი პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი. მთავრობასა და დასავლური ქვეყნების საელჩოებს შორის კრიზისის შემდგომი გაღრმავების კვალდაკვალ ეკლესიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მიტროპოლიტმა ანტონმა (ბულუხია), ა.წ. 11 ივლისს ეპარქიის ფეისბუქ გვერდზე საჯაროდ გააკრიტიკა აშშ-ისა და ევროკავშირის საელჩოები და დაიმუქრა მის ეპარქიაში მოქმედი ევროპული კლუბის დახურვით. „გინდათ მოგვახვიოთ თქვენი მრუში, ბილწი და გარყვნილი იდეალები.” - განაცხადა მან.

დასავლური ეკლესიებისაგან განსხვავებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ შეხებია აღორძინება და განმანათლებლობა. 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული ეკლესიაში არ გატარებულა პოსტტოტალიტარული რეფორმები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კონსერვატიზმის ძირითადი წყარო მისი მართლმადიდებლური დოქტრინაა. თუმცა, მართლმადიდებლობა, როგორც ასეთი, არ ეწინააღმდეგება საზოგადოების მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციის მიზნებს, როგორც ამას მოწმობს სხვა ევროპული მართლმადიდებელი ქვეყნები, მაგალითად, ბულგარეთი და საბერძნეთი. და მაინც, საქართველოს შემთხვევაში მართლმადიდებელი ეკლესია თავს ქართული ეროვნული ღირებულებების მთავარ დამცველად მიიჩნევს. თუმცა, ვინაიდან ეს ღირებულებები მრავალფეროვანი და რთულად განსასაზღვრია, ეკლესიამ ვერ შეძლო ჩამოეყალიბებინა საკუთარი კონსერვატიზმის მკაფიო იდეოლოგიური საფუძველი.

რელიგიურობა და ფორმირებადი ქართული იდენტობა

2002 წლის კონკორდატის საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მოპოვებული პრივილეგიები მკაფიოდ მიჯნავს ეკლესიის ისტორიის ამ მონაკვეთს გასული ორი საუკუნისგან. ცარისტული რუსეთის მიერ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საბჭოთა ტოტალიტარულმა მმართველობამ საქართველოს მოსახლეობაში ათეიზმი დანერგა. საბჭოთა ხელისუფლებამ დახურა ან გაანადგურა ეკლესია-მონასტრები და რელიგიური ძეგლები.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა პოსტკომუნისტურ საქართველოში მას შემდეგ, რაც ეკლესიამ დაიწყო სახელმწიფო სოციალისტური სისტემის რღვევის შედეგად გაჩენილი იდეოლოგიური ვაკუუმის შევსება. 1991 წელს, როდესაც საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა, ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მართლმადიდებელი

ქრისტიანები შეადგენდნენ, რომლებსაც სურდათ სწრაფად განთავისუფლებულიყვნენ საბჭოთა მემკვიდრეობისგან. მათი აზრით, ეკლესია წარმოადგენდა ახალი იდენტობის ჩამოყალიბებისა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მნიშვნელოვან რესურსს. ახალგაზრდა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში, რომელსაც არ გააჩნდა მკაფიოდ გამოხატული და თანამიმდევრული სახელმწიფო იდეოლოგია, ეკლესიას არ გასჭირვებია ინდოქტრინიზაცია და თანდათანობით დამკვიდრდა ქართველის, როგორც ქართული ეთნოსის წარმომადგენლისა და მართლმადიდებლის, კონცეფცია.

ბევრი ქართველისთვის მართლმადიდებლობა ჭეშმარიტი ქართველობის ერთადერთ თუ არა, ძალზე მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენდა. CRRC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ერთ-ერთი თეოლოგი ამტკიცებდა, რომ „როგორც წესი, რიგით ქართველს რომ ჰკითხოთ, რას ნიშნავს მისთვის ქართველობა, გიპასუხებთ, რომ მისთვის ეს არის ეთნიკური კუთვნილება, ენის ფლობა და მართლმადიდებლობა. ასე რომ, ამ სამი მახასიათებლიდან ერთ-ერთი მაინც რომ არ გქონდეს, მაშინ ნამდვილი ქართველი არ ხარ. სწორედ ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ეკლესიის პოპულარობას განაპირობებს.“ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაიზარდა როგორც მრევლის, ასევე სასულიერო პირების რიცხვიც, რის შედეგადაც, „ქართველობის“ ჩაგონებული იდეოლოგია დაეფუძნა ეკლესიების, ეპარქიებისა და მოძღვრების მყარ ინფრასტრუქტურას, ხოლო კონკორდატი ამ ყველაფერს იურიდიული ჩარჩოთი ამაგრებდა.

მალევე საზოგადოებაში ამ ახალი რელიგიურ-ნაციონალისტური იდეოლოგიის მონოპოლიის თანდათანობით შესუსტება დაიწყო. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გლობალიზაციამ და ინტერნეტზე გაზრდილმა წვდომამ თანდათანობით შეცვალა ადამიანების რწმენა. გარესამყაროს მიმართ ინტერესის ზრდასთან ერთად, ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ცდილობდა უფრო გახსნილი ყოფილიყო. ქვეყანაში ფეხის მოკიდება დაიწყო ლიბერალურმა იდეოლოგიამ, განსაკუთრებით კი, სამოქალაქო ნაციონალიზმმა. პარალელურად გაიზარდა ლიბერალურად განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების რიცხვიც.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ლიბერალური შეხედულებების განმტკიცებას. ამასთან ერთად, უფრო გაიზარდა ეკლესიის მიმართ გამოთქმული კრიტიკა. CRRC-ის 2020 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, ქართველებს შორის ჯერ კიდევ მძლავრია იდენტობის ეთნო-ნაციონალური მსაზღვრელი, თუმცა ის უკვე აღარ არის დომინანტური. ამავე დროს, საქართველოს მოქალაქეების უმეტესობისთვის მართლმადიდებლობა უფრო მნიშვნელოვანი მარკერია, ვიდრე ეთნიკური კუთვნილება (იხ. სურათი 2).

სურათი 2



წყარო: კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი, 2020

მომძლავრებულმა რელიგიურობამ, რამაც 1990-იან წლებში დასაბამი მისცა კონსერვატორული ღირებულებების ჩამოყალიბებას, შეაფერხა საქართველოში დემოკრატიის გაღრმავება, მათ შორის ხელის შეშლით ისეთი ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებისთვის, როგორიცაა სექსუალურ უმცირესობათა გამოხატვის თავისუფლება. თუმცა, 2011 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, რელიგიურ, სოციალურ ქცევას შესაძლოა ასევე გაეძლიერებინა დემოკრატიის მხარდაჭერა დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ გაზრდილი ნდობის შედეგად. ქეთევან ჩაჩავა, არასამთავრობო ორგანიზაციის „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ დირექტორი, ფიქრობს, რომ „მსახურებაზე დასწრება, ხელს უწყობს არჩევნებში მონაწილეობას, საპროტესტო აქტივიზმსა და დემოკრატიის მხარდაჭერას“.

მონაცემების თანახმად, საქართველოში ყოველკვირეულად რელიგიურ მსახურებაზე დასწრების სიხშირე, რომელიც 10-დან 13 პროცენტამდე მერყეობს, შეესაბამება ანალოგიურ ევროპულ მაჩვენებელს, თუმცა აქტიური მრევლის შეფარდება საქართველოში ბევრად აღემატება ევროპულ საშუალო მაჩვენებელს (იხ. სურათი 3).

სურათი 3



წყარო: კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი, 2020

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება დასავლეთისა და რუსეთის მიმართ

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საკმაოდ თავისებურად ესმის საქართველოს საგარეო პოლიტიკა და მისი პრიორიტეტები. ეკლესიის შიგნით არსებული ჯგუფების შეხედულებები [საგარეო პოლიტიკაზე] ძალზე განსხვავებულია.

ერთი მხრივ, ეკლესიის ლიდერები მხარს უჭერენ ქვეყნის გაცხადებულ ერთგულებას ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციისადმი. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რათა ქართულმა საზოგადოებამ მხარი დაუჭიროს ქართველი ხალხისა და ქვეყნის სწორებას ევროატლანტიკურ მომავალსა და ინტეგრაციაზე. ამერიკის შეერთებული შტატები ამით ძალზე ამაყობს," აღნიშნა ფილიპ რიკერმა, ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელმა 2021 წელს საქართველოს პატრიარქთან ვიზიტის შემდეგ.

საქართველოს მისწრაფება ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებასთან დაკავშირებით „ქართველი ხალხის გადასაწყვეტია და ეკლესია პატივს სცემს ამ არჩევანს," ვკითხულობთ საქართველოს საპატრიარქოს 2016 წლის განცხადებაში. ღიაობით უპრეცედენტო ეს

განცხადება მოჰყვა „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ მიერ ბრუსელში, ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი იერარქებისათვის ორგანიზებულ შემეცნებით ვიზიტს: “აღმოჩნდა, რომ ნატოშიც და ევროსტრუქტურებშიც არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ საქართველოს ეკლესიის შესახებ და ჩვენც არასწორი წარმოდგენა გვქონდა მათ პოლიტიკასთან მიმართებაში რიგ თემებთან დაკავშირებით“ - ნათქვამია განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ბრიუსელში ვიზიტი დაემთხვა საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირში უვიზო მოგზაურობის შესაძლებლობის შესახებ შეთამხმებას, რაც ევროპული ინტეგრაციის გზაზე ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევა. ამ მოვლენამდე, როცა საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ რეფორმებს ახორციელებდა, ეკლესიის ლიდერებმა მოუწოდეს ქვეყნის პარლამენტს, არ მიეღო კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ. ხოლო ამჯერად, იგივე ლიდერებმა, რომლებსაც მოსწონთ და მხარს უჭერენ ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალ მიმოსვლას, მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ კამპანიაში ანტიდასავლური პროპაგანდის საწინააღმდეგოდ.

მეორე მხრივ, მსგავსად ქართული საზოგადოებისა, ხშირად ეკლესიაშიც ისმის რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები. მრავალი სასულიერო პირი განმსჭვალულია მოწიწებით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და, ზოგადად, რუსეთის მიმართ. რუსეთის ეკლესიის მიმართ სოლიდარობის გამო 2019 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მოერიდა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას, რომელიც უკრაინელებს მსოფლიო საპატრიარქომ (კონსტანტინოპოლის ეკლესიამ) მიანიჭა. ქართველ სასულიერო პირთა უფროსი თაობა კვლავ თბილად იხსენებს იმ დროს, როდესაც იგი ურთიერთობდა „რუსულ სამყაროსთან“, როგორც ამას ხშირად უწოდებენ რუსულენოვან კულტურულ სივრცეს და რომელიც თავად რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებს მიღმაც ვრცელდება. რუსეთის მთავრობა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ფართოდაა აღიარებული იმ ლიბერალურ ფასეულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ფლაგმანად, რომლებიც, ბევრის თვალში, ზიანის მომტანია. ორივე ქვეყნის კონსერვატიულად განწყობილი სასულიერო პირებისთვის დასავლეთი სულიერების გარყვნისა და გადაგვარების წყაროდ რჩება.

და მაინც, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის კვლევის მიხედვით, სასულიერო პირების ახალგაზრდა თაობა ამ შეხედულებებს სულ უფრო სცილდება. კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებში ახალგაზრდა სასულიერო პირები მხარს უჭერენ ქართველი ახალგაზრდების მიერ ცოდნის დაუფლებას დასავლურ უნივერსიტეტებში და რუსეთს უფრო მეტად ოკუპანტ ქვეყნად განიხილავენ,

ვიდრე ერთმორწმუნედ. მათი აღქმით, ევროპა საუკეთესო სივრცეა საქართველოს განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და კონფესიათაშორისი ურთიერთობები

საქართველოს კონფესიათაშორისი ურთიერთობების ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მკაფიოდ განირჩევა სხვა დენომინაციებისგან, ყველა ჯგუფის რელიგიურ ლიდერს ესმის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული კონსოლიდაციისა და სამოქალაქო ერთობისთვის რელიგიათაშორის დიალოგს. ამის მაგალითია 2021 წლის მაისში ქალაქ დმანისში ადგილობრივ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის მომხდარ ძალადობრივ ინციდენტზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმი ლიდერების რეაგირება. დროულმა და კოორდინირებულმა ჩარევამ განმუხტა პოტენციურად საშიში კრიზისი და დაადასტურა დიალოგის საჭიროების გაცნობიერება.

2017 წელს, კვლავ „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ ორგანიზებით, საქართველოს რელიგიური ლიდერები ამჯერად ვაშინგტონს ეწვივნენ შემეცნებითი ვიზიტით. ვაშინგტონის ვიზიტმა კიდევ უფრო გაზარდა კონფესიათაშორისი ურთიერთგაგება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტის თეოდორეს სიტყვებით „ამ ვიზიტს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რადგან... აქ წარმოდგენილია საქართველოს ტრადიციული რელიგიები, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი, საქართველოში კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლი, საქართველოში სომხური ეპარქიის წინამძღოლი, არიან მუსლიმური თემის მეთაურები, როგორც შიიტი ისე სუნიტი მხარის და ეს ერთობლიობა ქმნის ძალიან კარგ სახეს საქართველოსი.“

სხვადასხვა რელიგიურ დენომინაციებს შორის არსებობს კონსენსუსი იმის შესახებ, რომ საჭიროა „ღირებულებების დაცვა“, როგორც ამას აზერბაიჯანელი მუსლიმების თემის ლიდერი ამბობს. „საქართველოს მომავალის“ პროექტის ფარგლებში მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ იგი განსაკუთრებით შეშფოთებულია „გამოხატვის გადაჭარბებული და შეუზღუდავი თავისუფლებით“ და გაიხსენა ფრანგული ჟურნალი „შარლი ებდოს“ მაგალითი, რომელმაც საფრანგეთში მუსლიმების რწმენა დაცინვისა და სატირის საგნად აქცია. „არ მინდა, რომ საქართველომაც გადმოიღოს რაიმე ამის მსგავსი ევროპიდან,“ - დაამატა მან.

ამავდროულად, საქართველოს რელიგიურ თემებს შორის შეუთანხმებელი საკითხებიცაა მრავლად. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში დასახელებულია არამართლმადიდებლი რელიგიური თემების დისკრიმინაციის მაგალითები და ასევე მოთხრობილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მინიჭებული ისეთი

ფინანსური პრივილეგიების შესახებ, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები. ე.წ. „ვოჩდოგი ორგანიზაციები“ ყურადღებით იკვლევენ იმ ყოველწლიურ შემოწირულობებს, რომლებსაც ეკლესია საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან იღებს, გარკვეული თანხის ან ქონების (მიწის, შენობის, ძვირადღირებული მანქანისა და ტაძრების საკუთრებაში გადაცემის) სახით. ეკლესიის კრიტიკოსთა აზრით, ამგვარი ქმედებები - კორუფციის ერთგვარი ფორმაა.

გავრცელებული მოსაზრებით, სწორედ მართლმადიდებელი ეკლესია დგას ბათუმის მერიის იმ გადაწყვეტილების უკან, რომლითაც ადგილობრივ მუსლიმებს უარი ეთქვათ ქალაქის მეორე მეჩეთის მშენებლობაზე. ბათუმელი მუსლიმები უკვე წლებია ცდილობენ მოიპოვონ ნებართვა ახალი მეჩეთის მშენებლობის დასაწყებად, თუმცა მათ მცდელობას დღემდე არ მოჰყოლია შედეგი. საინტერესოა, რომ 2021 წლის 13 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ბათუმის მერიის უარი მეჩეთის მშენებლობის პირველი სტადიის დაკმაყოფილებაზე უკანონოა და წარმოადგენს დისკრიმინაციას რელიგიური საფუძვლით. ამ საქმეზე ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა, განაცხადა, რომ „ეს არის ეროვნული სასამართლოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც წლების განმავლობაში მუსლიმი თემის რელიგიის თავისუფლების ხელყოფის დისკრიმინაციულ პრაქტიკას აღიარებს და მათი უფლებებისა და ღირსების აღდგენის სამართლებრივ წინაპირობებს ქმნის.“

კრიტიკოსები ასევე იხსენებენ სხვა დენომინაციების დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტებს. მაგალითად, კათოლიკურ ეკლესიას უარი ეთქვა ეკლესიის აშენების ნებართვაზე ქალაქ რუსთავში. აღსანიშნავია რამდენიმე დავა სომხურ ეკლესიასთან, მათ შორის თბილისში მდებარე თანდოიანცის ეკლესიის თაობაზე: სომხური ეკლესიის მტკიცებით, ნაგებობა უკანონოდ გადაეცა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. კიდევ ერთი დავა მიმდინარეობს ნორაშენის - საქართველოში მდებარე ერთ-ერთი სომხური უმოქმედო ეკლესიის ირგვლივ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეპუტაციას ასევე ჩრდილი მიაყენა რამდენიმე გახმაურებულმა სკანდალმა. 2017 წელს ერთ-ერთ სასულიერო პირს ბრალად დასდეს თითქოს მას ჰქონდა პატრიარქის მოწამვლის მცდელობა. კიდევ ერთი შემთხვევა უკავშირდებოდა სახელმწიფოსგან ეკლესიისთვის მიწის სიმბოლურ ფასად გადაცმის ფაქტებს. ახლახან საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ეკლესიაში სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულმა სკანდალმაც, ხოლო 2020 წელს ეკლესია კიდევ ერთხელ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში მას შემდეგ, რაც საპატრიარქომ უარი განაცხადა, შეეცვალა სააღდგომო ლიტურგიისას საერთო კოვზით ზიარების რიტუალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ვითარებაში. კვლევის მიხედვით, ამ

ინციდენტებმა თვისი კვალი დააჩნია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ ნდობას, სულ მცირე მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც.

ბოლო დროის საზოგადოებრივი განხილვის ფოკუსში მოექცა ეკლესიას დაქვემდევარებული ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონი. სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც საქართველოს სახალხო დამცველმა გააკეთა განცხადება და ბრალი დასდო ეპისკოპოს სპირიდონს სკოლაში მომხდარი ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოუძიებლობაში. სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, როდესაც სახალხო დამცველს არ მიეცა დაწესებულებაში შესვლის კანონით მინიჭებული უფლების გამოყენების შესაძლებლობა. ეპისკოპოსმა სპირიდონმა განაცხადა,: „არ შევუშვით იმიტომ, რომ ეს არის ხალხი, რომელიც ითხოვს ერთნაირ სქესიანთა ქორწინების დაკანონებას! მაგ ხალხის შეშვება არ შეიძლება ბავშვთა სახლში კი არა, ნებისმიერ პატიოსან ოჯახში. წაბილწავენ იქაურობას.“

არც საპატრიარქოს, არც ეკლესიის მაღალი წოდების რომელიმე სასულიერო პირს არ დაუჭერია მხარი სკოლებში კონკრეტული შეხედულების მქონე პირთა არდაშვებისთვის. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვებმა უნდა დატოვონ ნინოწმინდის პანსიონი და ისინი უნდა გადაიყვანონ სხვა მეურვეების მზრუნველობის ქვეშ. პატრიარქის მიერ პანსიონის ხელმძღვანელის შეცვლის შემდეგ ახალმა მმართველმა გამოაცხადა პანსიონის პერსონალის წმენდისა და რეფორმის გეგმის შემუშავების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები უკვე შევიდნენ პანსიონში, გაესაუბრნენ ბავშვებს და დაიწყეს შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა.

ამ ეპიზოდმა კიდევ უფრო მეტი საზოგადოებრივი რეზონანსი შეიძინა ოპოზიციურად განწყობილი მედიასაშუალებებისა და ეკლესიის მიმართ კრიტიკული არასამთავრობო, მათ შორის, ე. წ. „ვოჩდოგი ორგანიზაციების“ ხმამაღალი განცხადების წყალობით.

LGBTQ-თა უფლებები - საჯილდაო ქვა

ეს საკითხი ყველაზე მეტად აღრმავებს დაპირისპირებას/ანტაგონიზმს ერთი მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს და, მეორე მხრივ, ლიბერალურად განწყობილ მოქალაქეებსა და დასავლელ პარტნიორებს შორის.

2021 წლის სააღდგომო ეპისტოლეში საქართველოს პატრიარქმა აღნიშნა, რომ ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ქორწინებას უმკაცრესი ტაბუ უნდა დაედოს და რომ „წაშლილია ადამიანობის განმსაზღვრელი ტრადიციული იდენტობები: „მამაკაცი“ და „ქალი“, „ოჯახური ფასეულობები.“

2021 წლის ივლისში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, საქართველოს სხვა კონფესიების რელიგიური ლიდერები და მთავრობის რამდენიმე წევრი თბილისი პრაიდის გაუქმების მოწოდებით გამოვიდნენ. 2021 წლის 5 ივლისს თბილისი ძალადობრივი ქმედებების მოწმე გახდა მას შემდეგ, რაც რადიკალური კონსერვატიული ჯგუფები მიიჭრნენ თბილისი პრაიდისა და საზოგადოებრივი მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისთან და ფიზიკურად გაუსწორდნენ ჟურნალისტებს, რომლებიც იმდღევანდელი მოვლენების გაშუქებას ცდილობდნენ. 11 ივლისს ერთ-ერთი ჟურნალისტი, ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, რომელმაც 5 ივლისს ფიზიკური დაზიანებები მიიღო, საკუთარ საწოლში, გაურკვეველ ვითარებაში, გარდაცვლილი იპოვეს.

თავდასხმის შემდეგ რადიკალური პროტესტის მონაწილეებმა ჩამოხსნეს საქართველოს პარლამენტის წინ აღმართული ევროპული დროშა. ეს აქტი მომდევნო დღესაც განმეორდა. პროტესტის მონაწილეებს შორის იყვნენ მართლმადიდებელი სამღვდელო პირები. დაფიქსირებულია, სულ მცირე, ერთი შემთხვევა, როდესაც სასულიერო პირმა მონაწილეობა მიიღო ჟურნალისტის წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმაში.

ელჩების მიერ მომზადებულ ერთობლივ განცხადებაში მკვეთრად უარყოფითად შეფასდა „ხელისუფლების ლიდერებისა და სასულიერო პირების მიერ ძალადობის არდაგმობა.“

ეკლესიიდან განსხვავებული გზავნილებიც გამოვიდა. მისმა მმართველმა ორგანომ, საპატრიარქომ, დღის განმავლობაში რამდენიმე განცხადება გააკეთა, რომლითაც პროტესტის მონაწილეებს სიმშვიდისკენ მოუწოდა, ძალადობა დაგმო და მას გაემიჯნა: „2 ათასი მღვდლიდან თუ 5 აშავებს, 1995-მა რა დავაშავეთ?“ - განაცხადა მამა იოანემ, სამების ტაძრის არქიმანდრიტმა.

იმავდროულად, ეკლესიის ლიდერები განაგრძობდნენ პრაიდის ორგანიზატორებისა და მათი დასავლელი მხარდამჭერების კრიტიკას. ქაშუეთის ეკლესიაში მსახურებისას მიტროპოლიტმა შიო მუჯირმა, პატრიარქის თანამოსაყდრემ და მის არყოფნაში ეკლესიის დე ფაქტო ლიდერმა, თბილისი პრაიდი მოიხსენია როგორც „დიდი კამპანიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ერის ღმერთისგან, ჩვენი ტრადიციებისა და ეკლესიისგან დაშორებას და მის გადაგვარებას.“ მიტროპოლიტის მოსაზრებით, „რელიგიური და ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფა“ კანონით უნდა ისჯებოდეს.

ქართველების უმეტესობა, როგორც ჩანს, დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია ორთავეს, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ასევე დასავლური გეოპოლიტიკური დღის წესრიგის ერთდროული მხარდაჭერა. CRRC-ის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქართველების მხოლოდ 20 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეკლესიის ანტიდასავლური რიტორიკა აფერხებს საქართველოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, ხოლო 29 პროცენტის აზრით, ამგვარი ნარატივი ინტეგრაციის პროცესს ხელს არ უშლის (იხ. სურათი 4).

სურათი 4



წყარო: კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი, 2020

დასკვნა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კონსერვატიული ფასეულობების მთავარ საყრდენად რჩება და მნიშვნელობანწილად ასახავს საქართველოს, ანუ ისეთი ქვეყნის კონცეფციას, სადაც უპირატესობა აქვთ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც ამავდროულად მართლმადიდებელი ქრისტიანებიც არიან. ამასთან, დასავლურ ინსტიტუტებსა და სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობამ უზარმაზარი ტრანსფორმაციული ძალა შეიძინა. დასავლეთის გავლენა სულ უფრო იგრძნობა მთავრობის პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

რამდენადაც საქართველოს დასავლური ორიენტაცია და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ეროვნული კონსოლიდაციის მთავარი საკითხია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გამოწვევაა მოერგოს ახალ რეალობას.. თუ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეს მოახერხა, იგი შეიძენს მოდერნიზაციის მხარდაჭერის ფუნქციას და დაეხმარება საქართველოში დასავლური ტიპის ინსტიტუციური დემოკრატიის მშენებლობის პროცესს. 2016-სა და 2017 წლებში ბრიუსელსა და ვაშინგტონში ორგანიზებული ვიზიტების შედეგებმა დაადასტურა, რომ ამგვარი ტრანსფორმაცია შესაძლებელია ეკლესიაში მიმინარე თაობათა ცვლის ფონზე, რაც ახალგაზრდა, უფრო ლიბერალური შეხედულებების მქონე, სასულიერო პირებით ეკლესიის რიგების განახლებას გულისხმობს.

თუკი ლიბერალური ღირებულებების შეღწევა ეკლესიაში გაგრძელდება, იგი აღარ იქნება ისეთი კონსერვატული ინსტიტუტი, როგორიც წარსულში იყო. ეკლესიას მოუწევს გაითვალისწინოს ის ევოლუციონირებადი ბალანსი, რომელიც ქართულ საზოგადოებაში კონსერვატიულ და ლიბერალურ შეხედულებებს შორის მყარდება. შესაძლებელია, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარების შედეგად, ეკლესიამ დაკარგოს საქართველოში ყველაზე ძლევამოსილი იდეოლოგიური ძალის რეპუტაცია.

აღსანიშნავია, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში შესუსტდება ის როლი, რომელსაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ასრულებს ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეკლესია შეინარჩუნებს გავლენას საზოგადოებასა და პოლიტიკურ პროცესებზე, როგორც ხელისუფლების მიღმა არსებული ყველაზე გავლენიანი აქტორი. და შესაბამისად, შეინარჩუნებს მნიშვნელობასაც, როგორც ხელისუფლებისთვის, ისე მისდამი ოპოზიციური პოლიტიკური ძალებისთვისაც, ვინაიდან ყველა პოლიტიკური აქტორისთვის ეკლესიასთან საზოგადოების სიახლოვე კვლავაც რჩება ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვების მნიშვნელოვან საშუალებად.

არჩილ გეგეშიძე ლევან მიქელაძეს ფონდის აღმასრულებელი დირექტორია.

მიხეილ მირზიაშვილი ხელმძღვანელობს განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის საბჭოს.

პროექტი „საქართველოს მომავალი“ ხორციელდება კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის მიერ შვედეთის სამთავრობო ოფისისა და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.